

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2022 წლის ----

ქ. თბილისი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 20/03/2019, სარეგისტრაციო კოდი: 330090020.35.101.016587) და დადგენილების პირველი მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა“ (დანართი №1) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანა გამოწვეულია შემდეგი გარემოებით:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის ფარგლებში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება დედაქალაქში საბაგირო ტრანსპორტის განვითარებას. ამ მიმართულებით, საფრანგეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, ჩატარდა შესაბამისი კვლევით-ანალიტიკური სამუშაოები, რის შედეგადაც შეფასდა თბილისში საბაგირო ტრანსპორტის განვითარების მიზანშეწონილობა და პოტენციალი. ჩატარებული კვლევების საფუძველზე სამგორი/ისანი-ვაზისუბნის და სარაჯიშვილი-ზღვისუბნის კორიდორები განისაზღვრა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული საბაგირო დერეფნები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, საქართველოს მთავრობის შუამდგომლობისა და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, ფრანგულმა საკონსულტაციო კომპანია „სისტრამ“ განახორციელა და უკვე დაასრულა კვლევითი სამუშაოები, რის შესაბამისადაც განისაზღვრა სარაჯიშვილი-ზღვისუბნის საბაგირო დერეფნისა და სამგორი/ისანი-ვაზისუბნის დაცვის ბუფერის სავარაუდო განთავსების განახლებული არეალები.

ზემოაღნიშნულის ასახვის მიზნით კი, ცვლილება ხორციელდება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების გრაფიკულ ნაწილ - რუკაზე. (დანართი N1).

ბ) პროექტის ფინანსურ-ეკონომიკური დასაბუთება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას, არ მოახდენს გავლენას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) პროექტის ავტორ(ებ)ი:

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

